



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სოფიო დუმბაძე

წევრები:

თამთა კვარაცხელია ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ირმა შალიკიანი- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი

ინგა ხავთასი-საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი

სალომე ასათიანი-უცხოური ენების ექსპერტი

ელენე ხუციშვილი-ესთეტიკური მეცნიერებების ექსპერტი

თეა ღვინიაძე-ტექნოლოგიების ექსპერტი

მარიამ ფერიაშვილი-სახელმწიფო ენის ექსპერტი

შაქრო ჟღენტი- მათემატიკის ექსპერტი

ქეთევან ბორაშვილი-სპორტის ექსპერტი

ლელა მანგოშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	30 სექტემბერი-01 ოქტომბერი
--------------------------	----------------------------

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქედა, სოფელი ახო, მეხუთე ქუჩა №4 1 შენობა
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქედა, სოფელი ახო, მეხუთე ქუჩა №4 1 შენობა
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქედა, სოფელი ახო, მეხუთე ქუჩა №4 1 შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედა სოფელ ახოს საჯარო სკოლაში 2024 წლის 30 სექტემბერსა და 01 ოქტომბერს შეფასების პროცესი აქტიურ რეჟიმში წარიმართა. ორი სავიზიტო დღის განმავლობაში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუების პროცესი როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან, ისე- სხვადასხვა საგნობრივი კათედრის წევრებთან. საგნობრივ

ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი კათედრის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა სხვადასხვა დოკუმენტაცია, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა ვიზიტის პერიოდში დაათვალიერეს სასწავლო გარემო, ადგილზე გაეცნენ სკოლაში არსებულ დოკუმენტაციას. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ვიზიტის ორივე დღეს ჩაერთო საგნობრივი ექსპერტების შეხვედრებს, გამართა დიალოგი სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებთან კურიკულუმების შემუშავების, განხორციელების, გადამუშავების პროცესის შესახებ, კომპლექსური დავალებებისა და მოსწავლეთა შეფასებების პროცესის შესახებ; გასცა რეკომენდაციები დიფერენცირების, სხვადასხვა შესაძლებლობებისა და მზაობის მოსწავლეებთან მუშაობის შესახებ.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, საქმიან, თანამშრომლურ გარემოში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლას აქვს მემორანდუმი **გაფორმებული პროფესიულ სასწავლებელ „ბლექსთან“** და აქტიურად თანამშრომლობით სკოლას აქვს სხვადასხვა პროფესიული პროგრამის განხორციელების პრაქტიკა (ჭრა-კერვისა და ისტ-ტექნოლოგიების პროგრამები); სკოლას მინიჭებული აქვს „მწვანე სკოლის“ სტატუსი, სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სასკოლო პროექტს და პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მონაწილეობს ეკოლოგიური მიმართულებით სხვადასხვა აქტივობაში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 180	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილი შესაბამისობა
2. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-მეტწილი შესაბამისობა
3. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილი შესაბამისობა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N2	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი	ხარვეზი



სტანდარტი №2	საბაზო საფეხურის კურიკულუმი	ხარვეზი
სტანდარტი №2	საშუალო საფეხურის კურიკულუმი	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 3.5.1(4)	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	ვიზიტისას გამოვლინდა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, სკოლას არ აქვს ლიფტი/პანდუსი მე-2 სართულზე განთავსებული საერთო მოხმარების სივრცეებთან შშმ მოსწავლის დასაკავშირებლად. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



		გეგმით განსაზღვრულ ვადებში 15/09/25 უზრუნველყოს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება.
ინდიკატორი 3.2.1.(4)	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	ვიზიტისას სკოლას არ ჰყავდა სერტიფიცირებული მასწავლებელი ტექნოლოგიების მიმართულებით. საათები გადანაწილებული იყო სხვადასხვა საგნის პედაგოგებზე. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 18/01/2 - 15/09/25 იმოქმედოს კანონის შესაბამისად და გამოაცხადოს ვაკანსია, აიყვანოს სერტიფიცირებული მასწავლებელი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობით მოთხოვნებთან შესაბამისი კურიკულუმი განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსი	ტექნოლოგიები: სკოლის მიერ გადმოგზავნილი შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებით, მიეცეს სკოლას რეკომენდაცია, რომ გამოაცხადოს ვაკანსია და აიყვანოს კვალიფიციური კადრი 2025 წლის 15 სექტემბრამდე
სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის კურიკულუმი	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე სკოლას მიეცეს რეკომენდაცია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და რესურსებით უზრუნველყოფა მოახდინოს 2025 წლის 15 სექტემბრამდე



	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	
2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე სკოლას მიეცეს რეკომენდაცია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და რესურსებით უზრუნველყოფა მოახდინოს 2025 წლის 15 სექტემბრამდე
სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის კურიკულუმი	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე სკოლას მიეცეს რეკომენდაცია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და რესურსებით უზრუნველყოფა მოახდინოს 2025 წლის 15 სექტემბრამდე
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე სკოლას მიეცეს რეკომენდაცია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და რესურსებით უზრუნველყოფა მოახდინოს 2025 წლის 15 სექტემბრამდე

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
--------------	------------------	-------



ინდიკატორი <i>N.1.1.1.3</i>	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	სასურველია, გადაიხედოს სკოლის ღირებულებები და აისახოს მასში სკოლაში დამკვიდრებული, რეალურად არსებული ღირებულებები და დამოკიდებულებები და არა ესგ-ის პრიორიტეტული მიმართულებები, რაც სკოლას აქვს წარმოდგენილი ღირებულებების ნაწილში
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 3.2.1(3) ...	სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;	სკოლას მიეცა რჩევა მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში ასახოს არამართო მასწავლებლის არამედ სხვა პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობი ამოცანების შესაბამისი აქტივობებიც.
3.4.1.(1)	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს	სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს საქვაზე სივრცის სკოლის შენობის გარეთ გადატანა. აგრეთვე სკოლას მიეცა რჩევა, რომ მიზანშეწონილია აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.



	მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
3.4.1(3)	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;	სკოლას მიეცა რჩევა შექმნას კრიზისებზე (მათ შორის მოსწავლეებს შორის ძალადობაზე, ბულინგზე) რეაგირების მოქნილი და სკოლის საჭიროებებზე მორგებული მექანიზმი, რომელშიც გაწერილი იქნება კონკრეტული აქტივობები და ნაბიჯები კრიზისის პრევენციისა და მართვისათვის, რომელიც იქნება ერთგვარი მოქმედების გიდი, მოქმედების გეგმა სკოლაში ახალმოსული კადრისათვისაც.
3.4.1(5)	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;	სკოლას მიეცა რჩევა სადეზინფექციო და სხვა დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოს სივრცე, ბავშვების შეხებისგან დაცული ჩაკეტილი სათავსო.
3.4.1(6)	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლას მიეცა რჩევა განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.
3.5.1.(5)	სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-	სკოლას მიეცა რჩევა ეზოში განათავსოს ეზოს სკამები, მოაწყოს ფანჩატურები, სადაც შესვენებებზე და გაკვეთილების ბოლოს



	კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.	მოსწავლეებს და პედაგოგებს საშუალება მიეცემათ დაისვენონ რეკრეაციულ სივრცეში.
3.6.2.1	სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;	სკოლას მიეცა რჩევა არქივისათვის გამოყოს ცალკე ჩაკეტილი სივრცე, სადაც წვდომა ექნება, მხოლოდ უფლებამოსილ პირს.
3.6.3.1. 4,1,2,4.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებასთან პერმანენტული და აქტიური კომუნიკაციისთვის გაანახლონ ინფორმაცია სკოლის ვებგვერდზე და გააქტიურონ რომელიმე სოციალური ქსელი, სადაც გახსნიან სკოლის ოფიციალურ გვერდს, რომელიც ყოველდღიურად ინფორმაციის განახლების შესაძლებლობით სასკოლო საზოგადოების სრულად ინფორმირებას შეძლებს.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N.4,1,2,4. 3.6.3.1.	სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.	სკოლას მიეცა რჩევა -სკოლის შესახებ დაინტერესებული პირებისა და თემში ცნობადობის ამაღლების მიზნით გააქტიუროს რომელიმე სოციალური ქსელი და ამ მიმართულებით დანიშნოს პასუხისმგებელი პირი, ვინც უზრუნველყოფს ინფორმაციის პერმანენტულად განახლებას.



4.2.1.3	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;	სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესებისათვის აამუშაოს რემედიაციის პროგრამა და გამოყოს რემედიტორი პედაგოგები, რომლებიც დაეხმარებიან მოსწავლეებს საჭიროების შემთხვევაში.
4.2.1.6.	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.	სკოლას მიეცა რჩევა შექმნან, შეაგროვონ კვლევების წარმოების წერილობითი/ელექტრონული დოკუმენტაცია, ანალიზი, რაც დაეხმარება სკოლას ზუსტად და უბიექტურად ასახოს კვლევების შედეგები სასწავლო წლის დაგეგმვისას.

სტანდარტი N2	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	ესთეტიკური აღზრდა: სასურველია, მუსიკაში მე-2 მე-4 მე-5 და მე-6 კლასებში დაზუსტდეს ძირითადი კონტექსტ მაგალითი შემოქმედებით პროდუქტთან (კომპლქსურ დავალებასთან) მიმართებით. მათემატიკა: სასურველია წინასწარ განისაზღვროს თუ რა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა არის საჭირო დავალების პირობიდან გამომდინარე და კათედრასთან შეთანხმებით მოხდეს მისი სკოლის საჭიროებაზე მორგება. სახელმწიფო ენა: კურიკულუმში თითოეული თემის გასწვრივ უნდა ფიქსირდებოდეს ყველა სამიზნე ცნება ესგ-ში მოცემული ფორმულირებით; თითოეულ თემას უნდა ახლავდეს თემის



		შინაარსისა და სამიზნე ცნებების გათვალისწინებით შერჩეული ის ქვეცნებები, რომელთა უშუალოდ თემის ფარგლებში დამუშავდება; საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია მე-5 და მე-6 კლასის საგან „ჩვენ საქართველოში“ შესასწავლი საკითხები სრულად იყოს ჩამოწერილი, მაგ, მე-5 კლასში მხოლოდ ქართლი არის მითითებული და მის გასწვრივ წარმოდგენილია შესასწავლი საკითხები-პარაგრაფების სახით, ქართლის გარდა შეისწავლება საქართველოს სხვა რეგიონებიც; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: • მე-3 ,მე-4 ,მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმებში წარმოდგენილი ყველა თემა შეუსაბამეთ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების სტანდარტით განსაზღვრულ თემებს. • მე-3, მე-4, მე-5 და მე- 6 კლასის კურიკულუმებში ყველა საკითხთა კლასტერში დაამუშავეთ შემოქმედებითი დავალებები. უცხოური ენები: დაწყებითი საფეხურის მე-3 კლასის კურიკულუმში სასურველია დაემატოს თემები/ქვეთემები/კონტექსტ-მაგალითები .
2.1.2.2.	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	მათემატიკა: აქტივობები უნდა იყოს მოსწავლის საჭიროებაზე ადაპტირებული და მოსწავლეთა მცირე კონტიგენტის გათვალისწინებით უნდა დაინერგოს წინასწარ შემუშავებული ყველა დავალება, სასწავლო შედეგის ეფექტურად წარსამართავად. სახელმწიფო ენა: ყოველი კლასის კურიკულუმში სასურველია დაფიქსირდეს კონკრეტული თემის დამუშავებისათვის განკუთვნილი სავარაუდო საათების რაოდენობა; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:



		დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურსკულუმებში მიუთითეთ საათების განაწილება.
2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკა: საგნობრივ კურიკულუმში სასურველია გაიწეროს ის რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას, და მხოლოდ ყურადღება არ გამახვილდეს ჰიპერლინკებით ვიდეო რესურსებზე. ესთეტიკური აღზრდა: • სასურველია, ძირითად რესურსად გამოყენებული გრიფირებული სახელმძღვანელოების შემთხვევაში მიეთითოს გვერდები; • სასურველია, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში გადაიხედოს შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობა, რათა მოხდეს სასწავლო მასალის სრულფასოვნად ათვისება კონკრეტულ ვადაში. უცხოური ენები: სასურველია უცხოური ენის კათედრამ შეიმუშაოს მრავალფეროვანი ციფრული რესურსების ბანკი თემებიდან გამომდინარე და ხელი შეუწყოს სწავლა-სწავლების პროცესის გამდიდრებას თანამედროვე მიდგომებით.
2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომას	ესთეტიკური აღზრდა: • სასურველია, მუსიკაში პირველ და მე-3 კლასებში ჩაემატოს „მაგალითები შედარებისთვის“ სვეტი და ყველა კლასში შეივსოს თემის, ცნება/ქვეცნებების და საკითხის გათვალისწინებით. • სასურველია, კურიკულუმში ცვლილებების შეტანის ასახვა რომელიმე დოკუმენტში. იქნება ეს თავად კურიკულუმი, თუ კათედრის ოქმი. • სასურველია სსმ მოსწავლისთვის ისგ ისეთი ფორმით იქნას შედგენილი, რომ მოერგოს და შეესაბამებოდეს მოსწავლის შესაძლებლობებსა და უნარებს.



		სახელმწიფო ენა: სასურველია სასწავლო პროცესში უფრო მეტი და ამასთან მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება (თითოეული თემა შესაბამისად), რომელიც მიმართული იქნება დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომაზე. ფიზიკური აღზრდა და სპორტი: სასურველია მასწავლებელმა შესთავაზოს რამდენიმე აქტივობა მაგალითად პროექტულ თემატიკაზე დაავალოს კედლის გაზეთის ან ნახატის, პრეზენტაციის მომზადება ხოლო პრაქტიკულზე შეიძლება მოსწავლე იყოს მოთამაშე ან მსაჯი. მოსწავლეს ჰქონდეს საშუალება მისთვის სასურველი აქტივობით შეასრულოს დავალება. ტექნოლოგიები: სასურველია, დავალების პირობები იყოს მკაფიო და მოსწავლისთვის გასაგებ (მარტივ) ენაზე ფორმულირებული. მაგალითად, „დაწერეთ ალგორითმი“- დავაკონკრეტოთ რისი ალგორითმის დაწერა ევალება მოსწავლეს;
2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	ესთეტიკური აღზრდა • სასურველია, დიფერენცირებული მიდგომების ასახვა თემატურ გეგმებში; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: მე-3, მე-4, მე-5 და მე- 6 კლასის მასწავლებელმა იხელმძღვანელოს ბუნებისმეტყველების ახალი სტანდარტით.
2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდურ გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ სამართლიანი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: მტკიცებულებად წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არის ძალიან ზოგადი. სასურველია შეიქმნას ისეთი შეფასების რუბრიკები, სადაც იქნება ჩამოყალიბებული კონკრეტული საკითხი და დავალების ინსტრუქციები , ზუსტად განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები , ასევე ნაჩვენები იქნება თუ რას აფასებს მასწავლებელი იმ კონკრეტულ შემთხვევაში.



		ტექნოლოგიები: სასურველია, შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები იყოს უფრო მეტად კონკრეტული და ჩაშლილი, მორგებული დავალებას; უცხოური ენა: სასურველია ზოგადი რუბრიკა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების, პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით. მაქსიმალური ქულა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე. მითითებული იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება. ასევე, შემაჯამებელი დავალების ანალიზი იყოს უფრო დეტალური.
2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	სახელმწიფო ენა: სასურველია, თითოეული თემის დამუშავებისას გამოყენებულ იქნეს დამატებითი რესურსები თვალსაჩინოების, ფოტო/ვიდეო/აუდიო მასალების, სქემების, გრაფიკული მათემატიკის და სხვა მასალების სახით.
2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	ესთეტიკური აღზრდა: სასურველია მუსიკის საგანი ასწავლოს მასწავლებელმა, რომელსაც დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნის შესაბამისად.
სტანდარტი №2	საბაზო საფეხურის კურიკულუმი	რჩევა
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას	სახელმწიფო ენა: • თითოეული კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებებსა და შედეგებთან ერთად, სასურველია დაკონკრეტდეს უშუალოდ დამუშავებული/დასამუშავებელი ქვეცნებები თემისა და საკითხების შესაბამისად;



		• თითოეული თემის დამუშავებისას უმჯობესია გამოყენებული იყოს უფრო მეტი კონტექსტს-მაგალითი (პარალელები, შედარებები, მაგალითები და ა.შ.) და დამატებითი რესურსები: ვიდეო/აუდიო/ფოტო მასალები. საზოგადოებრივი მეცნიერებები: გეოგრაფია მე-8 კლასი. კურიკულუმში წარმოდგენილია საკითხი და კონკრეტული დავალება, (4 სამიზნე ცნება) რომელიც შინაარსობრივად პასუხობს არსებულ სამიზნე ცნებებს. თუმცა სასურველია დავალების სირთულიდან გამომდინარე იგი მორგებული იყოს ერთ ან ორ სამიზნე ცნებაზე. რომელიც უფრო გაუადვილებს მოსწავლეს საკითხის გააზრებას, გარდა მაგისა. გთხოვთ, წარმოდგენილი მასალა დაასათაუროთ შესაბამისად, ზოგს ჰქვია-სილაბუსი, ზოგს კურიკულუმი . ზოგსაც კომპლექსური დავალება და ა,შ, სასურველია შეჯერდეთ ერთ ვარიანტზე,
2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკა: კურიკულუმში სასწავლო რესურსი გახადეთ უფრო მრავალფეროვანი რათა დიფერენცირებული სწავლების პრინციპები იქნას მიღწეული. ესთეტიკური აღზრდა: • სასურველია, ძირითად და დამატებითი რესურსების მითითებისას დაკონკრეტდეს გამომცემლობა, ავტორი და გვერდები. • გადაიხედოს შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობა, რათა მოხდეს სასწავლო მასალის სრულფასოვნად ათვისება კონკრეტულ ვადაში. უცხოური ენები: სასურველია უცხოური ენის კათედრამ შეიმუშაოს მრავალფეროვანი ციფრული რესურსების ბანკი თემებიდან გამომდინარე და ხელი



		შეუწყოს სწავლა-სწავლების პროცესის გამდიდრებას თანამედროვე მიდგომებით.
2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომას	სახელმწიფო ენა: სასურველია, სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას უფრო მეტი და განსხვავებული აქტივობა; კომპლექსური დავალების მატრიცების გაწერისას სასურველია დეტალურად იყოს გადმოცემული ყველა ის ნაბიჯი და აქტივობა, რომელიც მოსწავლეებს საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაში დაეხმარება; სასურველია კურიკულუმში ფიქსირდებოდეს თითოეული თემის დამუშავებისათვის განკუთვნილი სავარაუდო საათების რაოდენობა; თემის გასწვრივ მითითებული უნდა იყოს დასამუშავებელი საკითხები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ესთეტიკური აღზრდა: • სასურველია, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მე-7 კლასში თემატური ბლოკის ფარგლებში ყურადღებით შეირჩეს დავალების პირობა და დაზუსტდეს ქვეცნებები. • სასურველია, დიფერენცირებული მიდგომების ასახვა თემატურ გეგმებში. • სასურველია სსმ მოსწავლისთვის ისე ისეთი ფორმით იქნას შედგენილი, რომ მოერგოს და შეესაბამებოდეს მოსწავლის შესაძლებლობებსა და უნარებს.
2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	მათემატიკა: სასურველია შეფასების რუბრიკები შეიმუშაოთ კათედრაზე და წინასწარ გქონდეთ ხელთ რათა დაცული იყოს ყველა აუცილებელი კომპონენტი, რაც გახდის დოკუმენტს ეფექტურს. სახელმწიფო ენა: სასურველია თითოეული დავალებისთვის ცალ-ცალკე გაწერილ რუბრიკებში დაკონკრეტდეს ყოველი კრიტერიუმისათვის ქულათა



		მინიჭების საკითხი. მოსწავლისათვის ნათელი უნდა იყოს კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით რა შემთხვევაში დაიმსახურებს მაქსიმალურ შეფასებას, რა შემთხვევაში დააკლდება ქულა და რამდენი.
2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: კარგი იქნება თუ კათედრის წევრები მეტად ითანამშრომლებენ და შეიმუშავენ ერთიან კურსკულუმის ფორმას, ფიზიკის და ბიოლოგიის მასწავლებლები გაიზიარებენ ქიმიის მასწავლებლის გამოცდილებას(მე-9 კლასის ქიმიის კურიკულუმი საუკეთესოა) ასევე დაგეგმავენ ინტეგრირებულ შემოქმედებით დავალებებს. ყველა კურიკულუმში არ არის მითითებული სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება და გირჩევთ, გაითვალისწინოთ.
2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სახელმწიფო ენა: სასურველია თითოეული დავალებისთვის ცალ-ცალკე გაწერილ რუბრიკებში დაკონკრეტდეს ყოველი კრიტერიუმისათვის ქულათა მინიჭების საკითხი. მოსწავლისათვის ნათელი უნდა იყოს კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით რა შემთხვევაში დაიმსახურებს მაქსიმალურ შეფასებას, რა შემთხვევაში დააკლდება ქულა და რამდენი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ვფიქრობ, ფიზიკის პედაგოგმა უნდა ითანამშრომლოს ბიოლოგიის დ ქიმიის პედაგოგებთან და გაიზიაროს მათი გამოცდილება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების შედგენისას. უცხოური ენები: სასურველია ზოგადი რუბრიკა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების, პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით. მაქსიმალური ქულა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე. მითითებული იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება



		შემაჯამებელი დავალება. ასევე, შემაჯამებელი დავალების ანალიზი იყოს უფრო დეტალური. ფიზიკური აღზრდა და სპორტი: სასურველია წინასწარ შემუშავებული შეფასების სისტემა თითოეულ თემატიკასთან დაკავშირებით გააცნოთ მოსწავლეს და გამოაკრათ თვალსწინა ადგილას. ეს დაგეხმარებათ თქვენი შეფასება იყოს მეტად გამჭვირვალე, მოსწავლეს წინასწარ ეცოდენება რა მოეთხოვება სასურველი მიზნის მისაღწევად.
2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ადგილების გათვალისწინებით;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია საბუნებისმეტყველო კათედრამ დაგეგმოს ისეთი შემოქმედებითი დავალებები (პროექტები), რომლებიც მოითხოვს იაფი ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა მოდელებისა და რესურსების შექმნას, რაც შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც რესურსები სასწავლო პროცესში.
2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	ესთეტიკური აღზრდა: სკოლას ვურჩევთ, კვლავ გამოაცხადოს ვაკანსია მუსიკის საათებზე და აიყვანოს კვალიფიციური პედაგოგი. სასურველია მუსიკის საგანი ასწავლოს მასწავლებელმა, რომელსაც დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნის შესაბამისად.
სტანდარტი №2	საშუალო საფეხურის კურიკულუმი	რჩევა
2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	სახელმწიფო ენა: საგნობრივ კურიკულუმში თითოეული თემის ფარგლებში სასურველია დამუშავდეს: ყველა სამიზნე ცნება, თემისა და



	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას	სამიზნე ცნებების გათვალისწინებით დამუშავდეს რამდენიმე ქვეცნება, თითოეული თემის ფარგლებში განისაზღვროს მკვიდრი წარმოდგენები და საკვანძო შეკითხვები. კურიკულუმთან უნდა ერთვოდეს კომპლექსური დავალების მატრიცები, განსახორციელებელი აქტივობებისა და ნაბიჯების დეტალური აღწერით; • კომპლექსური დავალების მატრიცები უნდა იყოს დეტალური და ამომწურავი. კერძოდ, ფიქსირდებოდეს დავალების განხორციელების ეტაპები, აქტივობები და მათი აღწერა, რესურსები; უცხოური ენები: • ინგლისური ენის მე-12 კლასის კურიკულუმში, კონტექსტ-მაგალითების გრაფაში მითითებული შემოკლებული ლინკები სასურველია ჩასწორდეს აქტიური რესურსებით (მოცემული ლინკები არ იხსნება) • სასურველია უცხოური ენის კათედრამ შეიმუშაოს ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის პრაქტიკაში გადატანას. მაგ.: საერთაშორისო პროექტებში მოსწავლეთა ჩართვა, დებატები, როლური თამაშები. საზოგადოებრივი მეცნიერებები: საგანი ისტორია: სასურველია მე-12 კლასის კურიკულუმში განახორციელოთ ცვლილება, რადგანაც 2023-2024 სასწავლო წლისათვის განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული რესურსები მოიცავს სწავლებას პირველი მსოფლიო ომის თემატიკიდან და არა ნაპოლეონის ეპოქიდან, ვინაიდან წელს არ არის ისტორიაში, მე-12
--	--	--



		კლასის ახალი სახელმძღვანელო და შესაბამისად ვიხელმძღვანელებთ არსებული რესურსებით. საგანი „მოქალაქეობა“ მე-10 კლასი წარმოდგენილ დოკუმენტში სასურველია ასახოთ -თემა. საკითხთა ჩამონათვალი. სამიზნე ცნებები. რესურსები და ერთი გაწერილი საკითხი, რომელითაც მუშავდება შემოქმედებითი პროდუქტი. ხოლო არსებული კურიკულუმი გამოდგება სამუშაო ფორმატივისთვის ანუ გაკვეთილის ეტაპების დანერგვისთვის; ისტორია მე-10 კლასი, სასურველია კურიკულუმში ჩაამატოთ სამიზნე ცნებები, ყველა თემის ფარგლებში მუშავდება 6 სამიზნე ცნება. ხოლო საკითხის დამუშავების დროს თავისთავად ირჩევთ შესაბამის სამიზნე ცნებებს;
2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სახელმწიფო ენა: - სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში ფიქსირდებოდეს თითოეული თემის დამუშავებისათვის განსაზღვრული საათების მიახლოებითი რაოდენობა, აგრეთვე უნდა ფიქსირდებოდეს კომპლექსური დავალების შესრულების ხანგრძლივობა. - კომპლექსური დავალების მატრიცები სასურველია იყოს დეტალური და ამომწურავი. კერძოდ, ფიქსირდებოდეს დავალების განხორციელების ეტაპები, აქტივობები და მათი აღწერა, რესურსები;



2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკა: • სასწავლო პროცესის უფრო ეფექტურად დასაგეგმად კურიკულუმშიც გაითვალისწინეთ რესურსების მრავალფეროვნება. • მხოლოდ ვიდეო რესურსები არ იძლევა სასწავლო პროცესის ეფექტურობას, დაგეგმის პროცესშივე გაითვალისწინეთ ყოველივე. ესთეტიკური აღზრდა: სასურველია, არაფორმალური აქტივობები მიზნობრივად დაიგეგმოს, პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე.
2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და გაითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომას	სახელმწიფო ენა: კურიკულუმისა და კომპლექსური დავალებების შემუშავებისას სასურველია დოკუმენტებშიც იყოს ასახული მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით შერჩეული აქტივობები, მიუხედავად იმისა, კლასში ირიცხება თუ არა სსსმ მოსწავლე. ესთეტიკური მეცნიერებები: სასურველია, დიფერენცირებული მიდგომების ასახვა თემატურ გეგმებში.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სახელმწიფო ენა: სასურველია თითოეული დავალებისთვის ცალ-ცალკე გაწერილ რუბრიკებში დაკონკრეტდეს ყოველი კრიტერიუმისათვის ქულათა მინიჭების საკითხი. მოსწავლისათვის ნათელი უნდა იყოს კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით რა შემთხვევაში დაიმსახურებ მაქსიმალურ შეფასებას, რა შემთხვევაში დააკლდება ქულა და რამდენი. უცხოური ენები:



		სასურველია სკოლამ შექმნას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ისე რომ რუბრიკის შინაარსობრივი ნაწილი (კრიტერიუმები) გამომდინარეობდეს საგნობრივი სტანდარტის მიხედვით თემის ფარგლებში შექმნილი ინდიკატორებიდან. ასევე, შემაჯამებელი დავალების ანალიზი იყოს უფრო დეტალური. სასურველია ზოგადი რუბრიკა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების, პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით. მაქსიმალური ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე. მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.
2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: კარგი იქნება თუ კათედრის წევრები მეტად ითანამშრომლებენ და შეიმუშავენ ერთიან კურიკულუმის ფორმას და ყველა თემაში დაამუშავენ შემოქმედებით დავალებებს. ვფიქრობ, კათედრას სჭირდება მეტი მუშაობა შემოქმედებით დავალებებზე, რაც გულისხმობს კვლევით სამუშაოებს, პრაქტიკულ დავალებებს, აქტივობებს, რომლებიც ეფუძნება პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, პროექტულ სწავლებას, რადგან საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კეთებით სწავლებას. კურიკულუმში არ არის მითითებული სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება და რეკომენდაციაა გაითვალისწინოთ ესთეტიკური აღზრდა: სასურველია, კურიკულუმში ცვლილებების შეტანის ასახვა რომელიმე დოკუმენტში. იქნება ეს თავად კურიკულუმი, თუ კათედრის ოქმი.



2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: სასურველია წინასწარ შემუშავებული შეფასების სისტემა თითოეულ თემატიკასთან დაკავშირებით გააცნოთ მოსწავლეს და გამოაკრათ თვალსაჩინო ადგილას. ეს დაგეხმარებათ თქვენი შეფასება იყოს მეტად გამჭვირვალე, მოსწავლეს წინასწარ ეცოდინება რა მოეთხოვება სასურველი მიზნის მისაღწევად. ესთეტიკური აღზრდა: • სასურველია, შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნა (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), რომელშიც გამოიკვეთება ცნება/ქვეცნებათა დამუშავება. • სასურველია, განსახორციელებელი პროექტებისათვის თემების არჩევა მოხდეს მოსწავლეთა მიერ.
2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	სახელმწიფო ენა: თითოეული თემის დამუშავებისას სასურველია გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, როგორც ციფრული, ისე მატერიალური სახით. სასურველია დამატებითი რესურსები გამოყენებული იყოს როგორც უშუალოდ მასალის ახსნისა და გადამცემისათვის (თვალსაჩინოებები, მაგალითები, ფოტო/ვიდეო მასალები), აგრეთვე შესწავლილი საკითხების გაგება-გააზრებისთვის (სქემები, თვალსაჩინოებები და სხვა) ესთეტიკური აღზრდა: სასურველია, პროექტის განსახორციელებლად, მცირე კვლევების საწარმოებლად, სავსე მუშაობის დანერგვა; ინტერვიუს პროცესის წარმართვის სწავლება; კვლევის მნიშვნელობის გააზრება და საბოლოო პროდუქტის წარმოჩენა პრეზენტაციის, მოხსენების თუ სტატიის სახით.
2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია, საბუნებისმეტყველო კათედრამ დაგეგმოს ისეთი შემოქმედებითი დავალებები (პროექტები), რომლებიც მოითხოვს იაფ



	ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა მოდელებისა და რესურსების შექმნას, რაც შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც რესურსები სასწავლო პროცესში.
2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	ესთეტიკური აღზრდა: სკოლას ვურჩევთ, კვლავ გამოაცხადოს ვაკანსია მუსიკის საათებზე და აიყვანოს კვალიფიციური პედაგოგი. სასურველია მუსიკის საგანი ასწავლოს მასწავლებელმა, რომელსაც დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნის შესაბამისად.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.
სკოლის მიერ გაზიარებული და მიღებული იქნა ექსპერტთა რჩევები, გამოიგზავნა შესაბამისობის გეგმა, რის შედეგადაც სტანდარტი
N 3 (3.1 და 3.5) გადავიდა მეტწილშესაბამისობაში

დაწყებითი საფეხურის პროგრამა- სტანდარტი N 2 (2,2) გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

საბაზო საფეხურის პროგრამა - სტანდარტი N 2 (2.1 და 2,2) გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

საშუალო საფეხურის პროგრამა - სტანდარტი N 2 (2.1 და 2,2) გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს საჯარო სკოლის მისიაა „სკოლა ზრუნავს საინტერესო, ხალისიან, მშვიდ, მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთპატივისცემის გარემოში მოსწავლეთა საკუთარი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი პოტენციალის, ფიზიკური და სულიერი თვისებებისა და მიდრეკილებების გამოვლენაზე; მოსწავლეებში იმ უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებაზე, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში დასჭირდებათ. ჩვენ ვზრდით ეროვნული ტრადიციების ამღიარებელ და დამცველ, პატრიოტ, კანონმორჩილ, შემოქმედებით, ინტელექტუალურ, გარემოზე მზრუნველ, ტოლერანტ, ფიზიკურად ძლიერ და სულიერად მტკიცე, კონკურენტუნარიან მსოფლიო მოქალაქეებს.“

სკოლის ხედვაა: „სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს საჯარო სკოლა არის მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული. ჩვენი ვიქნებით 2030 წლისთვის რეგიონში სკოლა, რომელსაც ექნება მუდმივი გაცვლითი სასკოლო და პროფესიული პროგრამები პარტნიორ ორგანიზაციებთან; ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებისა და არაფორმალური განათლების გაძლიერების გზით, სკოლის კურსდამთავრებულები აჩვენებენ მაღალ შედეგებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და იქნებიან გარემოზე მზრუნველი მაღალი ეკოლოგიური ცნობიერების მქონე მოქალაქეები.“

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **1.1.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციალ-კულტურულ სივრცეს; მისიასა და ხედვაში დაკონკრეტებულია, რომ აკადემიურ, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურად უსაფრთხო გარემოში მიმდინარეობს სასწავლო პროცესში; მასწავლებლებს, სკოლის დამხმარე პერსონალს, მთელ სასკოლო საზოგადოებას აქვს პოზიტიური, თანამშრომლობითი ურთიერთობა; სკოლაში არის სამართლიანი, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, სკოლაში ბოლო რამდენიმე სასწავლო წლის განმავლობაში არ ყოფილა დისციპლინური წარმოება. ხდება წარმატებული მოსწავლეების წახალისება, მოსწავლეები ენთუზიაზმით მონაწილეობენ სხვადასხვა სასკოლო თუ სკოლისგარეშე აქტივობებში. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ნიჭისა და უნარების გამოვლენას, იმართება მოსწავლეთა შემოქმედების გამოფენა, საჩვენებელი ღონისძიებები, რომლებსაც ესწრებიან მშობლები. ისინი არიან ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში და აქვთ ინფორმაცია თავიანთი შვილების წარმატებებისა თუ პრობლემების შესახებ. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს. სკოლაში მოქმედებს კლუბი „რა? სად? როდის?“, საგნობრივი წრე ისტორიაში; აგრეთვე, ვითარდება თანამშრომლობა და ფორმირდება პოზიტიური სასკოლო კულტურა, სკოლა სისტემატურად იღებს მონაწილეობას სამინისტროს მიერ ორგანიზებულ და რაიონულ პროექტებში, ასევე ღონისძიებებში.

1.1.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის შემუშავების დროს სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული წინადადებები; პედაგოგთა და სამეურვეო საბჭოს ოქმები, რომლებითაც დასტურდება, რომ სკოლის ფილოსოფიის განხილვა, საბოლოო ვერსიაზე შეჯერება და დამტკიცება ხდება სასკოლო თემის ჩართულობით. **1.1.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა სუბიექტი: მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი; მიღებულია ჯგუფის მიერ წინადადებები, ვერსიები, ვერსიებს გაეცნენ კათედრის სხდომებზე, გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე, სამასწავლებლოში და სკოლის ვებ-გვერდზე. **1.1 (4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროა და ხელმისაწვდომი;

სკოლის შემოსასვლელში, ყველა კლასსა და საჯარო სივრცეებში (დერეფნები, კაბინეტებში, სამასწავლებლოში) გამოკრულია, აგრეთვე, საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ-გვერდზე. **1.1.1 (5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით. **1.1.1 (6) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ;
2. სკოლის მისიასა და რევიზიაზე, შვიდწლიან და ერთწლიან სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე პასუხისმგებელი ჯგუფი (ბრძანება) ;
3. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.(ბრძანება) ;
4. სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განმახორციელებელი ჯგუფის ოქმები ;
5. მშობელთა კრების ოქმი;
6. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
7. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
8. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი;
9. დარაჯთან დადებული შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მიზანია აღწეროს სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მიდგომები, მოთხოვნების და სამუშაო პროცესები. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დასრულების შედეგად შემუშავებული უნდა იყოს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება გუნდური მუშაობის, თანამონაწილეობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. ასევე, განსაზღვრულია სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები, კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ადმინისტრირებას ახდენს დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, მათ წვდომას ყველა საჭირო ინფორმაციაზე, ჯგუფის შეხვედრების ადმინისტრირებასა და სხვა საქმიანობის მხარდაჭერას. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით, დირექტორი ქმნის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფს, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებაზე, ამ პროცესში სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვასა და ინფორმაციის გაზიარებაზე. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება, რომლითაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი მისიისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით. 1.2.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



2. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც არის გაწერილი 2023-2030 წლებზე, გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მიზნად ისახავს გრძელვადიანი პერსპექტივით სასწავლო პროცესის განვითარებას, სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, სასწავლო პროცესის მართვას, სკოლის ორგანიზაციულ განვითარებას, სკოლის მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლებას და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და კონკურენტული სამუშაო გარემოს შექმნას ითვალისწინებს. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები და შესაბამისი ამოცანები აგრეთვე ამოცანების განხორციელების გზები. **1.2.1 (2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია ყველა ის მიმართულება, რომლებიც შვიდწლიან გეგმაში არის მოცემული, შემუშავებულია დირექტორის მონაწილეობით, განხილულია სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ. **1.2.1 (3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. **1.2.1 (4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
2. სკოლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა 2024-2031წწ;
3. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025 წ.
4. 2024 -2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია შემუშავებულია სკოლის საზოგადოების მიერ და დამტკიცებულია ბრძანებით , რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომელთა საფუძველზეც, როგორც სასწავლო პროცესში , ასევე ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, ხდება სკოლის სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი. **1.2.2 (1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**
2. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა განხორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის- სასკოლო თემისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს მისიას, ხედვას, სკოლის ღირებულებებს, SWOT ანალიზს, ასევე სკოლის მენეჯმენტსა და სტრუქტურას, სკოლის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც ცხრილის სახითაა გაწერილი, ასევე შეფასებისა და მონიტორინგის სისტემას, რომლითაც გათვალისწინებულია, რომ სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მიმდინარე შეფასებას ამზადებს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი (დროებითი სამუშაო ერთეული), რომელსაც იხილავს პედაგოგიური საბჭო და დირექცია უწევს მონიტორინგს სამეურვეო საბჭოსთან ერთად. **1.2.2 (2) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გამოქვეყნება გათვალისწინებულია საჯაროდ და ყველასთვის ხელმისაწვდომად (მაგ: პრეზენტაციის სახით წარდგენა სასკოლო საზოგადოებისთვის, სტენდზე და ვებ გვერდზე განთავსება). **1.2.2 (3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**
4. სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის და შვიდწლიანი გეგმის შემუშავების, ანალიზისა და შეფასების პრაქტიკა. სკოლის სტრუქტურული რგოლების მიერ ხდება ანგარიშების მომზადება, სკოლაში არსებული სიტუაციის კვლევას აწარმოებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ჯგუფი, მიღებულ შედეგებს სკოლა იყენებს წლის ბოლოს ახალი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემდგომი განვითარებისთვის. **1.2.2 (4) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
2. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;

3. სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავს პერსონალის მართვის პრინციპებს, პოლიტიკას, პროცედურას და პერსონალთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს. პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის მოთხოვნები ვრცელდება სკოლის ყველა პერსონალზე (დირექცია, მასწავლებლები, დამატებითი პერსონალი) თანასწორობის პრინციპების დაცვით, მათი კომპეტენციის სპეციფიკის გათვალისწინებით. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, ადმინისტრატორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, მტუკი, ცეცხლფარეში, ექთანი, დარაჯი, დამლაგებელი, მასწავლებელი/სპეციალური



მასწავლებელი, სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ N448 ბრძანების მეორე თავით „სკოლის სტრუქტურა და მართვა“ და მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, საგნობრივი ჯგუფის კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს უსაფრთხოების სამსახური და ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო. კათედრის თავმჯდომარეებისა და დამრიგებლების ფუნქციები გაწერილია სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი „სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები“ რომელშიც განსაზღვრულია სტრუქტურის თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული მოვალეობებით. მრჩეველთა საბჭო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად. განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.

სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებითა და თვითმმართველობის ქცევის კოდექსით.

სტრუქტურული ერთეულების ოქმების შესაბამისად კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები წლის დასაწყისში ადგენენ სამუშაო გეგმას, რომლის მიხედვითაც ახორციელებენ საქმიანობას წლის განმავლობაში, იკრიბებიან და განიხილავენ დაგეგმილ და რეგარეშე საკითხებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ახსნა-განმარტების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული, შესაბამისად, **3.1.1(1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

- სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს სკოლის განვითარება. განვითარების პროცესის უზრუნველსაყოფად სკოლაში გათვალისწინებულია კარიერული წინსვლის, სასკოლო საზოგადოების კოლექტივში ინტეგრაციის და ინოვაციების წახალისების კომპონენტები, საზოგადოების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სწავლა-სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესება; სკოლაში კვალიფიციური, პასუხისმგებელი, მოტივირებული, აქტიური,



თანამშრომლობითი და ემპათიის უნარის მქონე კადრის მოზიდვა, განვითარება და შენარჩუნება; ეფექტური საკადრო პოლიტიკის მეშვეობით ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შედეგიანად განხორციელება; სკოლაში დასაქმებულთა ნაყოფიერი და მოტივირებული საქმიანობის უზრუნველყოფა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არეგულირებს სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ თანამშრომლობას, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის გუნდი, რომელიც სარგებლობს გაჭირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპით. დირექცია აქტიურად თანამშრომლობს კათედრებთან და ერთად ხდება სწავლა-სწავლების პროცესებში არსებული ხარვეზების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების დასახვა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით და თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად, **3.1.1(2) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა; (დანართი 14)
2. სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება; (დანართი 2)
3. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება; (დანართი 10)
4. სკოლის სტრუქტურა; (დანართი 14)
5. სტრუქტურული ერთეულების ოქმები და სამოქმედო გეგმები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;



4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, მისიასთან და ხედვასთან შესაბამისობით. ასევე შექმნას გარემო რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას.

სკოლა მის წინაშე მდგარი მიზნების და ამოცანებისა განსახორციელებლად, საშტატო პოლიტიკის ეფექტურად და სამართლებრივად გატარების მიზნით შტატების შევსების პროცედურას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სამართლიანი პროცედურებით, რაც გულისხმობს კვალიფიციური კადრების მოზიდვას, შენარჩუნებას და განვითარებას. სკოლის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის, ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმის და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. დადგინდა, რომ ვინაიდან სკოლას აქვს შემუშავებული, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალის მართვის მექანიზმები, **3.1.2(1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. შინაგანაწესით რეგულირდება დასაქმებული მუშაური დედის, რომელიც კვებავს ერთ წლამდე ბავშვს, სამუშაო გრაფიკი. მას ეძლევა დამტკიცებითი შესვენება (მინიმუმ ერთი საათი), რომლის გამოყენება დასაქმებულს შეუძლია საჭიროებისამებრ. დასაქმებულთა შვებულება ორსულობის და ბავშვის მოვლის გამო რეგულირდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების

გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე, ხოლო გადანაწილების შეუძლებლობის შემთხვევაში ხდება შემცვლელი მასწავლებლით ჩანაცვლება, ხოლო გრძელვადიანი შვებულების საჭიროების შემთხვევაში სხვა(მოწვეულ) მასწავლებელთან ხელშეკრულების გაფორმება. ვინაიდან, სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, **3.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. კონკურსის მასალებით, დგინდება, რომ კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პერსონალის მართვის პოლიტიკით დადგენილია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით შეიქმნა საკონკურსო კომისია, რომელიც შედგებოდა კანონმდებლობის შესაბამისად, რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, რომლითაც ასევე განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ყველა მასწავლებლის პირად საქმეში წარმოდგენილია ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ხოლო 2020 წლის 01 ივნისის შემდგომ დასაქმებულ თანამშრომლის შემთხვევაში ასევე წარმოდგენილია ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით. შესაბამისად, **3.1.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სულ სკოლაში დასაქმებულია 31 თანამშრომელი, აქედან 19 მასწავლებელი. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ყველა თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ყველას არ აქვს შესაბამისი სტატუსი. დაწყებით საფეხურზე ისტ -ის საათები გადანაწილებულია სხვადასხვა საგნის პედაგოგზე. ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გადამოწმებისას დადგინდა, რომ სკოლას ავტორიზაციის წინა და მიმდინარე პერიოდში არ გაუკეთებია განაცხადი

ისტ- ის ვაკანტურ საათებზე. ასეთივე მდგომარეობაა მუსიკის პედაგოგთან დაკავშირებით, თუმცა ვაკანსიების გადამოწმების შემდეგ დადგინდა, რომ სკოლას არაერთხელ აქვს გამოცხადებული ვაკანსია მუსიკის საათებზე, თუმცა კვალიფიციური კადრის პოვნა სკოლას ძალიან გაუჭირდა. ამის გამო სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა მოწვეულ პედაგოგთან. სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტს ემსახურება ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირი. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კონკურსი გამოცხადებული ჰქონდა ექიმის პოზიციაზე, თუმცა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში, ვერ მოიძებნა. სკოლამ იხელმძღვანელა კანონის შესაბამისად და აღნიშნულ პოზიციაზე მიიღო ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირი. შესაბამისობის გეგმის წარდგენის შემდეგ სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისი ტატუსი მქონე პედაგოგების მოიების მიზნით გამოაცხადოს ვაკანსია და უზრუნველყოს სკოლის აღჭურვა საგნობრივი მიმართულებით კვალიფიციური პედაგოგებით დათქმულ ვადაში (8/01/25- 15/09/25)

3.1.2(4) ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება ისეთ საკვანძო პრინციპებს როგორიცაა:

- ა) შეფასება განვითარებისთვის და არა კონტროლისთვის - რაც გულისხმობს იმას, რომ პერსონალის მხარდაჭერა და მისი ეფექტიანი მართვა მოიცავს საჭიროებებზე დაფუძნებული ინტერვენციების დაგეგმვას და რეალიზებას. შესაბამისად შეფასება, იქნება ეს თვითშეფასება, თანაშეფასება, გარეშეფასება თუ ნებისმიერი სხვა სახე, უნდა იძლეოდეს დიფერენცირებულ სურათს პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეების, მათი ინტელექტუალური რესურსისა და საჭიროებებისა.
- ბ) გაზიარებული პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება პროცესების გაუმჯობესებასა და მიზნების მიღწევაზე - რაც გულისხმობს, რომ პერსონალის მართვა ითვალისწინებს გაზიარებულ პასუხისმგებლობას სკოლის ეფექტიანობაზე, დასახული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიღწევასა და რეალიზებაზე. სკოლისადმი ერთგულებისა და თანაშემოქმედებითობის განცდის გაძლიერებასა და ხელშეწყობაზე.
- გ) მაღალი და პოზიტიური მოლოდინები სასკოლო საზოგადოებისგან - რაც მოიცავს განაწილებული მართვის სტილს, ახალისებს შემოქმედებითობას და ინოვაციურობას, ხელს უწყობს სიტუაციური ლიდერების წარმოქმნას, ქმნის სივრცეს წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა და წახალისებისთვის.

დ) თვითრეგულაციის და თვითმართვის უნარების განვითარებაზე ორიენტაცია - რაც გულისხმობს ავტონომიისა და დამოუკიდებლობის ხელშეწყობასა და წახალისებას, ეფექტური მიზნების დასახვასა და მათი შესრულების მონიტორინგსა და ეფექტიანობის შეფასებას.

ე) პრევენციაზე დაფუძნებული დაგეგმვა და მართვა - მოიცავს სკოლის ბაზაზე პრევენციული სისტემის არსებობასა და მხარდაჭერას.

წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ ერთობლივ პროექტებს. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, მრჩეველთა საბჭოს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე.

სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები.

შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე, შეიმუშავენ თვითმმართველობის ქცევის წესს, ირჩევენ წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების პროცესში. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, შესაბამისად, **3.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები, კერძოდ: პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე, დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

- ბ) სიგელით დაჯილდოება;
- გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება. კერძოდ, პედაგოგები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით გეგმავენ და ატარებენ ურთიერთდასწრებას, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, გარდა ამისა უკავშირდებიან და აქტიურად თანამშრომლობენ სხვადასხვა სკოლის პედაგოგებთან; მაგალითად ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრასთან, ბახვის და დაბა ქედის საჯარო სკოლებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი და **3.1.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;(დანართი 34)
2. პერსონალის მართვის პოლიტიკა (დანართი 14)
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (დანართი 25)
4. პერსონალის პირადი საქმეები
5. ღია კონკურსის ჩატარების მასალები;
6. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების დამტკიცების ბრძანება (დანართი 2)
7. შრომითი ხელშეკრულებები;
8. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პერსონალის შეფასება განიხილება როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი განვითარებისთვის, შესაბამისად შეფასება და უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიაზე. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ ავტონომიურობის და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ, განახორციელონ ინიციატიური ხედვები. შეფასება კი ორიენტირებულია სისტემურ ანალიზზე. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, პერიოდულად მართავს შეხვედრებს სკოლის პერსონალთან (მასწავლებლებთან კათედრის ჭრილში, ასევე დირექციასთან და დამატებით პერსონალთან). აღნიშნულ შეხვედრებზე ხდება საჭიროებების გამოვლენა, მიმდინარე საქმიანობის ანალიზი და სამომავლო გეგმების განხილვა. ანგარიშის და ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელი ახალი სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს პროფესიული მხარდაჭერის გეგმას, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი. გამოვლენილი საჭიროება აისახება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. პერსონალი წლის ბოლოს ავსებს სპეციალური თვითშეფასების ფორმას, რომელიც მოიცავს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშს და ანალიზს. ვინაიდან სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, **3.2.1 (1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

2. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავრორიზაციას 3.2.1 (2) ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3. სკოლა ზრუნავს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და მათი კარიერული წინსვლის შესაძლებლობაზე.

ამ მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს, ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, აგრეთვე ხარისხის განვითარების მექანიზმი, რომელსაც სკოლის პერსონალის საჭიროებისამებრ შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარების და მხარდაჭერის გეგმა. პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის თანახმად პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს საჯარო სკოლას ჰყავს 16 უფროსი, 1 წამყვანი, 1 მოწვეული და 1 სპეც. მასწავლებელი. მასწავლებლები ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგ-მოდულებს. პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას პედაგოგებს სხვადასხვა პროგრამებისა თუ კურსების შესახებ. USAID -ის პროგრამის ფარგლებში გადამზადდა დაწყებითი კლასების 3 მასწავლებელი, რომლებიც აქტიურად უზიარებენ თავის გამოცდილებას კოლეგებს. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია შესაბამისი აქტივობები. კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა, წარმოდგენილი დოკუმენტით დგინდება, რომ სკოლას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ჰქონდა სხვადასხვა აქტივობები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით. დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის დამხმარე კადრების ინფორმირებისა და მობილიზების მიზნით, სასწავლო წლის დასაწყისში აწყობს საინფორმაციო სახის შეხვედრებს, სადაც აცნობს სხვადასხვა საჭირო ინვენტარისა თუ დასუფთავებისთვის საჭირო ხსნარების მოხმარების წესებსა და სხვა უსაფრთხოების წესებს. სკოლას მიეცა რჩევა მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში ასახოს არამარტო მასწავლებლის არამედ სხვა პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობი ამოცანების შესაბამისი აქტივობებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.2.1(3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

4. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას, იმისათვის, რომ სკოლის მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა სკოლა ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება შესაბამის

კათედრაზე, სხვა პერსონალის წარდგენა კი შესაბამის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთან, რა დროსაც ახალ თანამშრომელს გააცნობენ სკოლაში მუშაობის სპეციფიკას, დაკავებული პოზიციის სპეციფიკას და სკოლაში დამკვიდრებულ მიდგომებსა და წესებს. ახალ თანამშრომელს გასაცნობად გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უწყობს ხელს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს ახალი თანამშრომლის გარემოსთან ინტეგრაციის პრაქტიკა, შესაბამისად, **3.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარება ეფუძნება შემდეგ საკვანძო პრინციპებს:

- ა) პროფესიული განვითარება როგორც ყოველდღიური მიმდინარე პროცესი;
 - ბ) სასკოლო საზოგადოების ურთიერთნდობა, როგორც განვითარების უპირობო საფუძველი;
- პროფესიული განვითარების მიზნის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებებით:
- ა) ურთიერთგამოცდილების გაზიარებით;
 - ბ) პროფესიული განვითარების მიზნით, პერსონალის მიერ შესაბამისი აქტივობების დაგეგმვაში და განხორციელებაში, ხარისხის ჯგუფის ხელშეწყობით;
 - გ) სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარებით.

იგივე დოკუმენტის თანახმად, სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმებად გათვალისწინებულია: სიგელი, ფულადი ჯილდო, ფასიანი საჩუქრების გადაცემა. სკოლის მიერ შეთავაზებული წახალისების სისტემა დასაქმებულებისთვის ქმნის მოტივაციას გამოიჩინონ ინიციატივები, იყვნენ აქტიურები და განვითარდნენ პროფესიულად. სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ დააფიქსირონ რა სახის დახმარება ესაჭიროებათ პროფესიული განვითარების კუთხით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი გრძნობენ მხარდაჭერას დირექციის მხრიდან. შესაბამისად, **3.2.1(5) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი (დანართი 23)

3. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მასალები;
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. (დანართ 25)
5. მასწავლებლის თვითშეფასების ფურცელი პროფესიული განვითარებისათვის. (დანართი 6)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობები. დოკუმენტის თანახმად სკოლაში პროცესები დაყოფილია მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები შედგება ისეთი ქვეპროცესებისაგან, როგორიცაა რისკების შეფასება, შემოწმების განხორციელება, დასკვნის შედგენა და უკუკავშირი. ვინაიდან სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი, შესაბამისად, **3.3.1(1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
2. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას გაწერილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში, აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას აქვს გააზრებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და შემუშავებული დოკუმენტაცია მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ რეგულაციებს. შესაბამისად, **3.3.1(2) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
3. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. აღნიშნული დოკუმენტი აგრეთვე ითვალისწინებს სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის, პერსონალის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურას. როგორც სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, დაუშვებელია მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვივება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა. თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. ვინაიდან სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.3.1(3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
4. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებებითა და თავისუფლებით თანაბრად. პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. ადგილზე დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ყველა მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან გაფორმებულია ხელშეკრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.3.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების თაობაზე;
3. თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
4. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება მშობელთა კრებებები, რომლებზეც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებების შესახებ და წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა საკითხზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმით დგინდება, რომ სკოლა მშობლებსა და მოსწავლეებს დამრიგებლების მეშვეობით აცნობს ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ. **3.3.2(1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ:

-სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი;

-პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები;

-საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს;

-დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები.

-მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, პროექტებს, გამოფენებს და სხვა.

-სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენლები. მრჩეველთა საბჭო განიხლავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს;

-სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა, შესაბამისად, **3.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი 1 პირი, რომელსაც გავლილი აქვს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ორგანიზებული გადამზადების კურსები. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის 2 დარაჯი. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექცია და უფლებამოსილი პირი.

სკოლამ წარმოადგინა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა; სკოლას გამოყოფილი ჰყავს ცეცხლფარეში.

სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალითვალო სისტემით.(8 ვიდეოთვალი, პასუხისმგებელი უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირი, რომლის სამუშაო სივრცე (კამერების კომპიუტერი) იზოლირებულია გარეშე პირებისაგან). აგრეთვე სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

სკოლის შენობა-ნაგებობის და მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერებისას აღმოჩნდა,რომ სკოლის გარე პერიმეტრი შემოსაზღვრულია და დაცულია უცხო პირებისაგან. სკოლაში შემოსასვლელად ფუნქციონირებს ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალი. სივრცეების დეტალურად შესწავლისას აღმოჩნდა,რომ საქვაბე ძველი სტანდარტის შესაბამისად განთავსებულია სკოლის შენობაში პირველ სართულზე.სკოლამ წარმოადგინა მიწერილობა ქედის მუნიციპალიტეტის რესურცენტრთან, რომლის შესაბამისადაც სკოლა ითხოვს შუამდგომლობას და დახმარებას საქვაბის სკოლის შენობის გარეთ გასატანად, რადგანაც სკოლა საკუთარი ფინანსებით ამასე ვერ უზრუნველყოფს. სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს საქვაბე სივრცის სკოლის შენობის გარეთ გადატანა. აგრეთვე სკოლას მიეცა რჩევა, რომ მიზანშეწონილია აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, ვინაიდან სკოლას გააჩნია მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე,რომელიც დადგენილ ვადაში უზრუნველყოფს საქვაბის დემონტაჟს და სტანდარტებით აღჭურვას შესაბამისად **3.4.1.1. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლაში სამედიცინო კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი. სკოლის ექთანი აწარმოებს - სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს და დახარჯული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების ფორმას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანების დანართით დამტკიცებული ფორმის მიხედვით, შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია პირველადი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა. სკოლამ წარმოადგინა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. შესაბამისად **3.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სკოლაში შემოსასვლელად წარმოებს ვიზიტორთა ჟურნალი, სადაც ფიქსირდება სკოლაში ნებისმიერი უცხო პირის მონაცემები და ვიზიტის მიზანი. ჟურნალის წარმოებაზე პასუხისმეგბლობა ბრძანებით ეკისრება სართულის ორივე დამლაგებლს. აგრეთვე სკოლაში მუშაობს სართულზე პედაგოგთა მორიგეობის გრაფიკი, რომლებიც დასვენებების პერიოდში თვალყურს ადევნებენ მოსწავლეთა ქცევას, თავშეყრის სივრცეებს. დამრიგებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ კლასსათებზე განიხილავენ ბუღინგთან, ძალადობასთან დაკავშირებულ თემებს, აწყობენ დებატებს და აკეთებენ პრეზენტაციებს. ცდილობენ ინდივიდუალურად ისაუბრონ მოსწავლეებთან, რათა შეძლონ მოსალოდნელი პრობლემის იდენტიფიცირება და ადექვატურად მოქმედება. სკოლას მიეცა რჩევა შექმნას კრიზისებზე (მათ შორის მოსწავლეებს შორის ძალადობაზე, ბუღინგზე) რეაგირების მოქნილი და სკოლის საჭიროებებზე მორგებული მექანიზმი, რომელშიც გაწერილი იქნება კონკრეტული აქტივობები და ნაბიჯები კრიზისის პრევენციისა და მართვისათვის, რომელიც იქნება ერთგვარი გიდი, მოქმედების გეგმა სკოლაში ახალმოსული კადრისათვისაც.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, შესაბამისად **3.4.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ქმნის გარემოს რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, აგრეთვე ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, რომლის მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭოც. შესაბამისად **3.4.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი საყოფაცხოვრებო ქიმიკა და სადეზინფექციო საშუალებები, სათანადოდ მარკირებულია. სკოლას მიეცა რჩევა სადეზინფექციო და სხვა დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოს სივრცე, ჩაკეტილი სათავსო. სკოლაში არის სოფლის ცენტრალური წყალ-მომარაგების სისტემა და სკოლა სარგებლობს ცენტრალური-წყაროს წყლით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის N01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციების („წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“) გათვალისწინებით, აუცილებელია სასმელად გამოყენებული წყალი იყოს შეფასებული შესაბამისი კომპეტენტური სამსახურების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასმელად ვარგისიანობაზე, დირექტორთან გასაუბრებით სასმელი წყლის ვარგისიანობა ბოლოს გადამოწმდა და დადასტურდა 2017 წელს, რისი დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლამ ვერ წარმოადგინა, თუმცა სკოლამ წარმოადგინა მიწერილობა შესაბამის სამსახურთან სასმელი წყლის ვარგისიანობის დადგენის შესახებ. **3.4.1.5.**

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

6. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. რომელიც აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად აღნიშნული წესი არალევანტურია და საჭიროებს განახლებას, აგრეთვე სკოლას მიეცა რჩევა განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. **3.4.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლას ჰყავს საქმისწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია პედაგოგთა და მოსწავლეთა მონაცემების შენახვასა და დაცვაზე შესაბამისად **3.4.1.7. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. ვინაიდან დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული **3.4.1.8. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



1. დირექტორის ბრძანება უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ (დანართი 29)
2. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (დანართი 16)
3. დირექტორის ბრძანება ვიზიტორთა აღნუსხვაზე უფლებამოსილი პირის გამმოყოფის შესახებ (დანართი 30)
4. სკოლის პერსონალურ მონაცემების დაცვის მექანიზმები (დანართი 29)
5. დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება.
6. საქმისწარმოების წესი (დანართი 13)
7. სკოლის შინაგანაწესი (დანართი 34)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს 2 სართულიან შენობაში. საჯარო რეესტრის (03/06/2024 წლის) ამონაწერის მიხედვით, სკოლის შენობა განთავსებულია 1998.00.კვ.მ ფართობის არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე. შენობის საერთო ფართი - 1671.50 კვ. მ -ია. ქონების საკადასტრო კოდია №21.08.34.019. სკოლის შენობა დაწესებულებას გადმოცემული აქვს უზუფრუქტის სარგებლობის უფლებით (მესაკუთრე - სახელმწიფო).

აზომვითი ნახაზის შესაბამისად სკოლაში სულ 15 საკლასო ოთახია,ყველას აქვს ბუნებრივი განათება. საკლასო ოთახებში ერთადგილიანი მერხები და სკამები, მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, დაფები და სხვა სასწავლო ინვენტარია განთავსებული. შენობას აქვს ფართე და ნათელი დერეფნები, სკოლის შენობაში არის სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი, ადმინისტრაციის კაბინეტი და სამასწავლებლოს,რესურსოთახი,სამკითხველო და წიგნების სათავსო და სხვა დამხმარე სივრცეები. პირველ სართულზე განთავსებულია სველი წერტილები. მათ შორის არის ადაპტირებული სველი წერტილიც.

სკოლის ეზოში განთავსებულია მზის პანელები,შენობაში კი დამონტაჟებულია სენსორული მრიცხველები. მოწყობილობა ჯერ-ჯერობით არ არის აქტიური, რადგანაც სკოლა ელოდება შესაბამისი კომპეტეტური ორგანოს ვიზიტს, რომელიც დააერთებს და გაააქტიურებს აღნიშნულ პანელებს. დირექტორთან გასაუბრებით მზის პანელები მნიშვნელოვანი დანაზოგი იქნება სკოლის ბიუჯეტისათვის. აღნიშნული დანადგარი სკოლას გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების ,კუტურისა და სპროტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული მწვანე პროექტის ფარგლებში 6 ცალი პანელი და მისი მონაჟი უზრუნველჰყო სამინისტრომ. **3.5.1.1.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის შენობაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი და სამასწავლებლო. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად და სრულფასოვანი დასვენებისთვის. **3.5.1.2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3.სკოლას აქვს ბიბლიოთეკა,შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესიც, ადგილზე დათვალიერებით დადგინდა,რომ მხატვრული ლიტერატურა დალაგებულია ანბანური კლასიფიკაციის შესაბამისად, წიგნები დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით.მოსწავლეები სარგებლობენ მკითხველის ბარათით, სადაც აღირიცხება გატანილი და შემოტანილი წიგნები. **3.5.1.3 .ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის სრულად ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის. კერძოდ, სკოლის შენობის შესასვლელში არის პანდუსი, პირველ სართულზეა ადაპტირებული სველი წერტილი. თუმცა, შენობაში ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის ვერ იქნება ხელმისაწვდომი სკოლის ყველა კაბინეტი, კერძოდ, კომპიუტერული ლაბორატორია და ფიზიკის კაბინეტი . ყოველივე ამის გათვალისწინებით სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს შშმ მოსწავლე,თუმცა სკოლას მიეცა რჩევა პრევენციულად უზრუნველყოს შშმ მოსწავლეებისათვის ყველა კაბინეტთან ხელმისაწვდომობა.**შესაბამისობის გეგმის წარდგენის შემდეგ სკოლას ეძლევა რეკომენდაცია აღნიშნული პრობლემა აღმოფხვრას დათქმულ ვადადში (28/10/24- 15/09/2025)** **3.5.1.4 ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს შიდა კეთილმოწყობილი და დაცული ეზო, სადაც იმართება აქტივობები. სკოლა ღინისძიებებისთვის აქტიურად იყენებს სპორტულ დარბაზს . სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. სკოლას მიეცა რჩევა ეზოში განათავსოს ეზოს სკამები,მოაწყოს ფანჩატურები, სადაც შესვენებებზე და გაკვეთილების ბოლოს მოსწავლეებს და პედაგოგებს საშუალება მიეცემათ დაისვენონ რეკრეაციულ სივრცეში. **3.5.1.5 .ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

2. აზომეითი ნახაზი;
3. საინვენტარო აღწერილობის აქტები;
4. სასკოლო რესურსით სარგებლობის წესი;
5. სკოლაში განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები.

შეფასება: გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ცდილობს სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენოს ტექნოლოგიები და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის. საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის, განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია ისტ-ის პედაგოგი. სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა (11 გამართული სტაციონარული კომპიუტერი, 23 ნოუტბუკი, 4 პრინტერი, 1

პროექტორი), რაც შესაძლებელს ხდის ყველა საგაკვეთილო პროცესი ტექნიკის დახმარებით განხორციელდეს, სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია. დაწესებულებას აგრეთვე შემუშავებული აქვს სასკოლო რესურსით სარგებლობის წესი, რომელშიც აღწერილია ისტ ლაბორატორიის სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებს (შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები; ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე) და შეზღუდვებს (დაუშვებელია კომპიუტერებში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის) შესაბამისად **3.6.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ნებისმიერ მოსწავლეს ან/და მასწავლებელს შეუძლია სკოლის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, როგორც საშინაო დავალებების შესასრულებლად, ისე პრეზენტაციების, ონლაინ ჟურნალში სამუშაოდ და ასევე ტრენინგების მოსასმენად. კომპიუტერულ ტექნიკის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლის ისტ-ის პედაგოგი. **3.6.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. ვიზუალური დათვალიერება;
3. სკოლის რესურსით სარგებლობის წესი;
4. ბრძანება ინვეტარიზაციის შესახებ.
5. ინვეტარიზაციის შედეგების სპეციალური ოქმები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გაცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია შემდეგი პრინციპით: ბრძანებები ძირითად საქმიანობაზე, ბრძანებები მოსწავლეთა მოძრაობაზე, ბრძანებები პირად შემადგენლობაზე, ადმინისტრაციული სახის ბრძანებები (შვებულებები, მივლინებები, პრემიები, წახალისება და სხვა). ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლას ასევე აქვს შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. სკოლას მიეცა რჩევა არქივისათვის გამოყოს ცალკე ჩაკეტილი სივრცე სადაც წვდომა ექნება მხოლოდ უფლებამოსილ პირს. **3.6.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიღება. **3.6.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
